

ვამტკიცებ

29.06.2009.წ.

რექტორი: /ნ.არდაშელია/

ხარისხის მართვის სამსახურის

უფროსი: /ნ.ჩხარტიშვილი/

სოხუმის პროფესორ აკაკი ჩხარტიშვილის სახელობის
ეკონომიკურ-ჰუმანიტარული უნივერსიტეტი

ს ა მ ა გ ი ს ტ რ ი კ ი პ რ ო გ რ ა მ ა

მიმართულება: *განათლება და პედაგოგიკა*

სპეციალობა : *საგნის (საგანთა ჯგუფის) მეთოდიკა და*

მეთოდოლოგია

სპეციალიზაცია: *ინგლისური ენის სწავლების მეთოდიკა და მეთოდოლოგია*

აკადემიური ხარისხი: *განათლების მაგისტრი*

2009 წ.

პროგრამის ხელმძღვანელი: სრული პროფესორი

იზოლდა ჩხოზაძე

Curriculum Vitae

პერსონალური მონაცემები

სახელი, გვარი: *იზოლდა ჩხოზაძე*

დაბადების თარიღი და ადგილი: 1956 წელი, 18 ივლისი, ქ. ქუთაისი.

მისამართი: სახლი: ენგელსის II-შეს. №20, ქუთაისი, 4600, საქართველო.

ოფისი: ინგლისური ენის დეპარტამენტი, 59 თამარ მეფის ქუჩა, ქ. ქუთაისი, 384000, საქართველო

ტელეფონი: სახლი: +995-331 7 65 36. +995-77 78 08 04

ოფისი : +995-331 4 22 79

ფაქსი : +995-331 4 22 79

ელ-ფოსტა ; izolda@yahoo.com

მოქალაქეობა : ქართველი

გ ა ნ ა თ ლ ე ბ ა

7/03/06 - ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი (ენათმეცნიერების ისტორია და თეორია) საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნოლდ ჩოქობავას სახელობის ენათმეცნიერების

სახელმწიფო ინსტიტუტი, თბილისი, საქართველო.

2004/2005 მაძიებელი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნოლდ ჩოქობავას სახელობის ენათმეცნიერების სახელმწიფო ინსტიტუტი, თბილისი, საქართველო.

1975/1980 ფილოლოგიის ფაკულტეტი. აღ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი ინგლისური ენის მასწავლებლის სპეციალობით (წარჩინებით).

1963/1973 31-ე საშუალო სკოლა, ქუთაისი, საქართველო

რომელ ენებს ფლობთ: ქართული, ინგლისური, რუსული, გერმანული

პ რ ო ფ ე ს ი უ ლ ი ტ რ ე ნ ი ნ გ ი

18/03/07 10-საათიანი კურსი აკადემიური წერის უნარ ჩვევების განვითარება, ETAG, ქუთაისი.

17/02/08 10-საათიანი კურსი აკადემიური წერის უნარ ჩვევების განვითარება, ETAG, ქუთაისი.

04/2004 ტრენინგი ტემპუს IMG პროგრამის ჩარჩოთი.

10/2004 ტრენინგი ტემპუს IMG პროგრამის ჩარჩოთი.

20/06/2009 ტრენინგი „Teaching with lex-appeal”, EBG, Tbilisi.

21/06/2009 ტრენინგი “Dramatic Teaching –Dramatic Results”, EBG, Tbilisi.

შ რ ო მ ი თ ი ს ა ქ მ ი ა ნ ო ბ ა

08/06- ასისტენტ პროფესორი, ინგლისური ენის დეპარტამენტი, ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

06/05- ასოცირებული პროფესორი, თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტი ქუთაისის ფილიალი.

2005 - 2006 ინგლისური ენის დეპარტამენტის უფროსი მასწავლებელი, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქ. ქუთაისი.

1999/2005 ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ენების კათედრის უფროსი მასწავლებელი.

1995/1999 ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ენების კათედრის მასწავლებელი.

1993/1995 ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ენის კათედრის მასწავლებელი.

1992/1993 ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ენის კათედრის უფროსი ლაბორანტი.

1982/1992 ქუთაისის ალ. წულუკიძის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის უცხოურ ენათა კათედრის ლაბორანტი.

1981/1982 ქუთაისის ალ. წულუკიძის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის უცხოურ ენათა კათედრის მასწავლებელი (საათობრივი ანაზღაურებით).

სამეცნიერო ინტერესების სფერო: ლინგვისტიკა, სტილისტიკა, ფუნქციონალური გრამატიკა.

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა:

27-28/05/2009- აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი. საერთაშორისო სამეცნიერო

კონფერენცია „ენა, როგორც კულტურათაშორისი მედიატორი“, ქუთაისი.

29-30/05/2009- შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია.

„ჰუმანიტარული მეცნიერებები ინფორმაციულ საზოგადოებაში“, ბათუმი.

17/12/2008- აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტისა და საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის ერთობლივი მეორე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „სწავლებისა და აღზრდის აქტუალური პრობლემები“, ქუთაისი.

17-19/10/2008- საერთაშორისო კონფერენცია ვერბალური კომუნიკაციის სამუშაოებზე, თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი.

რესპუბლიკურ სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა:

07/05/2009- თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტი ჰუმანიტარულ-სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, პროფესორ მასწავლებელთა სამეცნიერო კონფერენცია, ქუთაისი.

17/05/2008- თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორ მასწავლებელთა სამეცნიერო კონფერენცია, თბილისი.

1998 პროფესორ-მასწავლებელთა V სამეცნიერო კონფერენცია, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

2002 პროფესორ-მასწავლებელთა IX სამეცნიერო კონფერენცია, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

2008 პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო კონფერენცია, თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტი.

2008 საერთაშორისო მეთოდური კონფერენცია, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომები: 25.

- 1. ი. ჩხობაძე,** კითხვის სწავლება არაენობრივ ფაკულტეტზე. ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ- მასწავლებელთა V სამეცნიერო კონფერენცია, ქუთაისი, 1998, გვ. 50.
- 2. ი. ჩხობაძე, მ. მეგრელიშვილი, ნ. ნიჟარაძე** ზეპირმეტყველების ტექსტების შედგენა. ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ- მასწავლებელთა V სამეცნიერო კონფერენცია, ქუთაისი, 1998, გვ. 34-35.
- 3. ი. ჩხობაძე,** ტექსტის შედგენის პრინციპები ენის სწავლების სხვადასხვა ასპექტში, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ევროპული ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტის შრომები, ტ. IV, 2003, გვ. 127-134.
- 4. ი. ჩხობაძე,** ტექსტის შერჩევის პრინციპები არასპეციალურ ფაკულტეტზე. ქუთაისის საერო ინსტიტუტი გელათი. „მოამბე“, ბიულეტენი № 13, 2004, გვ. 81-84.
- 5. ი. ჩხობაძე,** კითხვის სწავლების პრობლემები, ზოგადი მეთოდის საკითხები უცხოური ენების სწავლებაში (ავტორთა კრებული) „მოწამეთა“, ქუთაისი, 2003, გვ. 3-6.
- 6. ი. ჩხობაძე,** შეფასების და კომიკურობის კატეგორია ინგლისურენოვან საგაზეთო ფელეტონის ტექსტში. ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ევროპული ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტის შრომები, ტ. V, 2004, გვ. 246-254.
- 7. ი. ჩხობაძე,** ფრეიმული მიდგომის გამოყენება კოდირებული/დეკოდირებული ინფორმაციების კანონზომიერების შესწავლისას. ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ევროპული ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტის შრომები, ტ. V, 2004, გვ.255-263.
- 8. ი. ჩხობაძე,** კომიკურობა და მისი წარმოქმნის მექანიზმები საგაზეთო ფელეტონში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი. თბილისი, 2005, (ბროშურა 40 გვ.).
- 9. ი. ჩხობაძე,** კომუნიკაციური იმპლიკატურები საგაზეთო ფელეტონის ტექსტში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი. ბესარიონ ჯორბენა'ის საზოგადოება. საენათმეცნიერო 'იებანი №19. გამომცემლობა „ქართული ენა“. თბილისი, 2005, გვ. 240-247.
- 10. ი. ჩხობაძე, ს. ჩხობაძე,** საგაზეთო რეცენზიის სტრუქტურული თავისებურებანი, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის შრომები, ტ.VII (I), 2006, გვ. 325-332.
- 11. ი. ჩხობაძე, ს. ჩხობაძე,** საგაზეთო ფელეტონის ტექსტის სტრუქტურულ-კომპოზიციური თავისებურებანი, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის შრომები, ტ.VII გვ. 248-252.2006, გვ. 333-344.
- 12. ი. ჩხობაძე,** ფრეიმული მეთოდი კოდირებული/დეკოდირებული ინფორმაციების შესწავლისას, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია. თბილისი, 2004-2005, გვ. 226-232.
- 13. ი. ჩხობაძე, ს. ჩხობაძე,** ექსპრესიულობა საგაზეთო ფელეტონში, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის შრომები, ტ.VIII (I), 2006, გვ. 304-308.
- 14. ი. ჩხობაძე, ს. ჩხობაძე,** კომუნიკაციური იმპლიკატურები როგორც კომიკური ეფექტის შექმნის საშუალებები, თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის ქუთაისის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის ჟურნალი, №3, 2006, გვ. 92-99. გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომები: 12. ი. ჩხობაძე, კითხვის სწავლება არაენობრივ ფაკულტეტზე. ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ- მასწავლებელთა V სამეცნიერო კონფერენცია, ქუთაისი, 1998, გვ. 50. 2. ი. ჩხობაძე, მ. მეგრელიშვილი, ნ. ნიჟარაძე ზეპირმეტყველების ტექსტების შედგენა. ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა V სამეცნიერო კონფერენცია, ქუთაისი, 1998, გვ. 34-35.
- 15. ი. ჩხობაძე,** კომიზმის ენობრივი მექანიზმები, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი 2006, (მონოგრაფია 160 გვ.).

16. *ი.ჩხოზაძე, ს. ჩხოზაძე*, ფრეიმი- ცოდნის წარმოდგენის სტრუქტურული სამუალება, სამეცნიერო მეცნიერებათა აკადემია. არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი. ბესარიონ ჯორბენაძის საზოგადოება. საენათმეცნიერო ძიებანი№20. გამომცემლობა „ქართული ენა“ თბილისი, 2006წ.

17. *ი.ჩხოზაძე ს. მორალიშვილი*, საგაზეთო ფელეტონის ჟანრის საკითხვისათვის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი. ბესარიონ ჯორბენაძის საზოგადოება. საენათმეცნიერო ძიებანი. გამომცემლობა „ქართული ენა“ თბილისი,2007წ.

18.*ს.მორალიშვილი, ი.ჩხოზაძე*, ანალიტიკური სტატიის სტრუქტურული თავისებურებანი, საქ.მეცნიერების აღორძინების ფონდი, პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი „ინტელექტი“ 1(27), თბილისი 2007, გვ.77.

19. *ი.ჩხოზაძე, office Talk*, სახელმძღვანელო წიგნი ეკონომიკური სპეციალობის სტუდენტთათვის, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2008 წ.

20. *Моралишвили Софио, Чхобадзе Иольда* . Характерные особенности фреим-сценария подхода к проблеме представлений знаний. Государственный Университет Акакия Церетели, Русский Язык. Литература И Культура В Инонациональнойт Среде, Кутаиси 2007.

21. *ი.ჩხოზაძე*, ინგლისურენოვანი საგაზეთო ფელეტონის განვითარების ისტორია, თეუსუ, ჰუმანიტარულ-მეცნიერებათა ფაკულტეტის შრომათა კრებული „საზრისი“ №5, 2008, ივნისი.

22. *ი.ჩხოზაძე*, ტექსტის პრაგმატიკული ასპექტი, თეუსუ, ჰუმანიტარულ-მეცნიერებათა ფაკულტეტის შრომათა კრებული „საზრისი“ №6, 2008, ნოემბერი.

23.*ი.ჩხოზაძე*, სიტყვის სოციალიზაცია, თეუსუ, ჰუმანიტარულ-მეცნიერებათა ფაკულტეტის შრომათა კრებული „საზრისი“ №7, 2009, მაისი.

24. *ი.ჩხოზაძე*, კომუნიკაციური იმპლიკატურები, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის შრომები, 2009, ივლისი.

25. *ი.ჩხოზაძე*, *ინგლისური იუმორის ენობრივი სტრუქტურა*, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი. ბესარიონ ჯორბენაძის საზოგადოება. საენათმეცნიერო ძიებანი. გამომცემლობა „ქართული ენა“ თბილისი,2009წ.

ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული, ორი შვილი და ორი შვილიშვილი.

სხვა აქტივობები:

- სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებში სტუდენტთა ხელმძღვანელობა (2005).
- დასავლეთ ევროპის ენების კათედრის გამგის მოადგილე, ენის სექციის ხელმძღვანელი (1995-2005).
- საქართველოს ინგლისური ენის მასწავლებელთა ასოციაციის (ETAG) წევრი, ქუთაისი.
- ავტორთა კრებულის რედაქტორ-შემდგენელი (2003).

ანალოგიური პროგრამები: მოცემული სამაგისტრო პროგრამის ანალოგიები მოიპოვება კემბრიჯის, ოქსფორდის, ბერლინის ღია უნივერსიტეტის, მოსკოვის ჰუმანიტარული აკადემიის, ბოსტონისა და იელის უნივერსიტეტებში.

პროგრამის არსი

კურსი „უცხო ენის სწავლების მეთოდოლოგია“ მოიცავს იმ მოდულებს, რომლებიც ორიენტირებულია უცხო ენის სწავლების სხვადასხვა ასპექტის თეორიულ ანალიზსა და მეთოდოლოგიაში არსებული თანამედროვე ტენდენციების შესწავლაზე. იგი განიხილავს მეთოდოლოგიას, როგორც გამოყენებითი ლინგვისტიკის დარგს, რომელიც ამასთანავე მჭიდროდაა დაკავშირებული ფსიქოლოგიას, სოციოლოგიასა და ენათმეცნიერების სხვადასხვა თანამედროვე მიმართულებებთან, ისევე როგორც ზოგადად განათლების სფეროში არსებულ თეორიებთან. განსაკუთრებული აქცენტი კეთდება ენის სწავლების მეთოდოლოგიის კავშირზე ენის დაუფლების თანამედროვე ტენდენციებთან, რამდენადაც ამ მიმართულებით მიმდინარე კვლევები მნიშვნელოვანწილად განაპირობებს იმას რაც დღესდღეობით ხდება ენის სწავლების თვალსაზრისით მსოფლიო საგანმანათლებლო სისტემებში.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში უცხო ენის სწავლების მეთოდოლოგიის სამაგისტრო პროგრამა გულისხმობს ბაკალავრიატის დონეზე შექმნილი ზოგადი ენათმეცნიერების, ლინგვისტიკისა და უცხო ენის სწავლების მეთოდოლოგიის საფუძვლების კონკრეტულ და სიღრმისეულ გაფართოებას. სამაგისტრო პროგრამის ერთიანობას უზრუნველყოფს საგნების სტრატეგიული კოორდინაცია და მთელი პროგრამისათვის საერთო სავალდებულო კურსები, რომლებიც აერთიანებს მაგისტრატურის დონეზე უცხო ენის სწავლების მეთოდოლოგიურ საფუძვლებს, დიდაქტიკისა და უახლეს საგანმანათლებლო კონცეფციების პერსპექტივებს.

აღნიშნული კურსის მიზანდასახულობა მოიცავს როგორც გაკვეთილის დაგეგმარებას, ასევე მისი ფორმალურ-სტრუქტურულ-მეთოდოლოგიური საფუძვლების კვლევას, რაც თავის მხრივ ემსახურება შემდეგი პრობლემის შესწავლას: უცხო ენის გაკვეთილის ფსიქოლოგიურ, ლინგვოკულტუროლოგიური საფუძვლები და გაკვეთილის ორგანიზაციის მეთოდოლოგია.

უცხო ენის სწავლებისა და დაუფლების კომუნიკაციური მეთოდოლოგია და მეთოდოლოგია თავის მხრივ ასევე მოიაზრებს სასწავლო პროცესის საერთო ორგანიზაციის და დაგეგმარების საკითხების, კონცეპტუალური, საგანმანათლებლო თუ ენათმეცნიერული პრობლემატიკის კვლევას.

პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია გამოყენებითი ლინგვისტიკის ტენდენციების და ენის დაუფლების კვლევისას წარმოქმნილი თეორიების ინტერპრეტაცია ენის სწავლების თეორიული საფუძვლების შექმნის მიზნით. პროგრამის დამთავრების შემდეგ მაგისტრს უნდა ჰქონდეს თეორიული ბაზისი, რაც მას საშუალებას მისცემს კარგად ინფორმირებული და გააზრებული არჩევანი გააკეთოს ენის სწავლების პროცესში მოსწავლეზე ორიენტირებული საგანმანათლებლო სისტემის გამართვისა და ფუნქციონირებისათვის.

პროგრამის ამოცანები

სამაგისტრო პროგრამის უმთავრესი ამოცანაა დამოუკიდებელი და მოაზროვნე პრაქტიკოსი პედაგოგის მომზადება, რომელიც აღჭურვილი იქნება სათანადო თეორიული ცოდნითა და პრაქტიკული უნარ-ჩვევებით. კვლევითი მეთოდების ფლობა და ანალიზის უნარი უნდა დაედოს საფუძვლად მისი, როგორც ენის მასწავლებლის თვითგანვითარებას, რაც მას კონკურენტუნარიანს გახდის განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმის პირობებში.

კვალიფიკაცია

პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტს მიენიჭება კონკრეტული სპეციალობის მითითებით განათლების მაგისტრის წოდება უცხო ენის სწავლების მეთოდოლოგიაში (Master of Education in Methodology of Foreign Language Teaching).

დასაქმების მიმართულებები

მაგისტრის ხარისხის მქონე სპეციალისტის აკადემიური დონე მიესადაგება სხვადასხვა სასწავლო და კვლევით დაწესებულებას, იგი ამზადებს მასწავლებელ ტრენერებს, სასწავლო გეგმების, ინოვაციებისა და ტესტირების სპეციალისტებს, იგი ითვალისწინებს აკადემიურ მომზადებას როგორც გამოყენებითი ლინგვისტიკაში, ისე ზოგადად ენის სწავლებაში.

სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს შეეძლება სამეცნიერო მოღვაწეობის გაგრძელება დოქტორანტურაში, პედაგოგიური მოღვაწეობა, ანალიტიკური საქმიანობა ოფიციალურ დაწესებულებებსა და არასამთავრობო სექტორში.

განათლების სფეროს რეფორმირების მოთხოვნებიდან გამომდინარე კურსდამთავრებულს შეეძლება იმუშაოს განათლების სისტემის სტრუქტურული და შინაარსობრივი გარდაქმნის კუთხით. აღნიშნული სპეციალობა აყალიბებს მას როგორც სასწავლო დაწესებულების მართვის, სასწავლო პროგრამების და სასწავლო მასალების, სახელმძღვანელოების, ზოგადად სასწავლო პროცესის ორგანიზაციისა და მოდერნიზაციის სპეციალისტს.

სწავლების ფორმატი: ლექცია, სემინარი, პრაქტიკული მეცადინეობა, დამოუკიდებელი მუშაობა.

სამაგისტრო პროგრამის სამეცნიერო კვლევით კომპონენტს წარმოადგენს უცხო ენების დეპარტამენტი. დეპარტამენტებში არსებობს შესაბამისი კომპიუტერული ბაზა. მაგისტრი უზრუნველყოფილი იქნება საჭირო ლიტერატურით.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ინგლისური ენის მიმართულებას ჰყავს მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალი.

• მაგისტრის აკადემიური მოსწრების შეფასების ფორმები და კრიტერიუმები

მაგისტრის აკადემიური მოსწრების შეფასების თითოეული ეტაპის ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში განისაზღვრება შემდეგნაირად: I შუალედური შემოწმება – 25%

ორი შუალედური შემოწმება – 25-25%

ესსე რეფერატი – 10%

ფინალური გამოცდა – 40%

თავის მხრივ, თითოეული ეტაპის შეფასება მოხდება 100 ქულიან სკალაზე, შემდეგი წესით:

0-50 ქულა – „არადამაკმაყოფილებელი“ (გადაბარების უფლებით)

50-70 ქულა – „დამაკმაყოფილებელი“

71-86 ქულა – „კარგი“

87-100 ქულა – „ფრიადი“

პროგრამის სტრუქტურა

პროგრამაში ჩართულმა მაგისტრმა უნდა დაამუშაოს შემოთავაზებული სასწავლო კურსები და დააგროვოს კვალიფიკაციის მოსაპოვებლად აუცილებელი 120 ECTS -კრედიტი

1 ECTS კრედიტი = მაგისტრის მუშაობის 25 საათი. კრედიტების რაოდენობის გამოანგარიშება ხდება მაგისტრის მიერ ამა თუ იმ სასწავლო კურსის მოსამზადებლად დახარჯული დროის ჯამური მაჩვენებლიდან.

პროგრამის სტრუქტურა

პედაგოგიური ციკლის დისციპლინები

№	მოდული და მოდულში შემავალი საგნები	შეფასების ფორმა		სააუდიტორიო მუშაობა				კრედიტების განაწილება სემესტრების მიხედვით			
		გამოცდა	სამაგისტრო შრომა	სულ	ლექცია	პრაქტიკული	კრედიტი	I კურსი		II კურსი	
								I სემ.	II სემ.	III სემ.	IV სემ.
								12 კვირა	15 კვირა	8 კვირა	15 კვირა
სავალდებულო											
1.	უმადლესი სკოლის დიდაქტიკა ფილოსოფიური საფუძვლებით	A		24	18	6	5	5			
2.	განათლების ფსიქოლოგია	A		24	18	6	5	5			
3.	განათლების ისტორია	B		24	18	6	5	5			
4.	განათლების სისტემები და მისი აგების სამართლებრივი და ეკონომიკური საფუძვლები	B		30	15	15	5			5	
5.	გარემო, მოზარდი და ეკოლოგიური აღზრდა	B		30	15	15	5		5		
6.	სამაგისტრო შრომის შესრულების ტექნოლოგია	B		30	18	12	5		5		
7.	პედაგოგიური პრაქტიკა	B		94	44	50	5			5	
8.	სამაგისტრო შრომა		4	54	20	34	30		5	5	20
	ჯამი		1	310	166	144	65	15	15	15	20
<p>პროფესიული მომზადების სპეციალური დისციპლინები</p> <p>სპეციალიზაცია:</p> <p>ინგლისური ენის სწავლების მეთოდოლოგია და მეთოდოლოგია</p>											
1.	ინგლისური ენის სწავლების მეთოდოლოგია და მეთოდოლოგია	1(B) 2(A)		54	27	27	10	5	5		
2.	გამოყენებითი ლინგვისტიკა	A		30	15	15	5		5		
3.	ინგლისური ლიტერატურის სწავლების მეთოდოლოგია და მეთოდოლოგია	3(B) 4(A)		46	23	23	10			5	5
4.	ინგლისური ლიტერატურის სისტემური და შედარებითი შესწავლის პრობლემური საკითხები	B		24	12	12	5			5	
5.	ზეპირი და წერითი მეტყველების ხელოვნება	1(B) 2(A)		54	27	27	10	5	5		
6.	ინგლისური და დედაენის შეპირისპირებითი ტიპოლოგია	3(B) 4(A)		46	23	23	10			5	5
7.	მხატვრული ტექსტის ანალიზის მეთოდები	A		24	12	12	5	5			
	ჯამი			278	139	139	55	15	15	15	10

ანოტაციები

ზეპირი და წერიტი მეტყველების ხელოვნება

უცხო ენის სწავლების ზეპირი და წერიტი მეტყველების ხელოვნების პრაქტიკულ კურსში სტუდენტის ლინგვისტური თუ მეთოდური დაოსტატების პროცესი მიზნად ისახავს ლინგვისტური, კომუნიკაციური და ლინგვოქვეყნათმცოდნეობითი კომპეტენციების ფორმირებას. მაგისტრატურის ფარგლებში მოქმედი ზეპირი და წერიტი მეტყველების პრაქტიკული კურსის დასრულების შემდეგ სტუდენტი უნდა ფლობდეს ენის ცოდნასა და უნარ-ჩვევათა ისეთ მოცულობასა, რომელიც მას შესაძლებლობას მისცემს თავისუფლად, ნორმატულად, გამართულად და ფუნქციურად ადეკვატურად გამოიყენოს სამეტყველო აქტივობის ყველა სახეობა.

უცხო და მშობლიური ენების შეპირისპირებითი ტიპოლოგია

უცხო ენაში მაგისტრის პროფესიული მომზადების ამოცანები და ნაციონალური უმაღლესი სასწავლებლის სპეციფიკა განსაზღვრავს დისციპლინის უცხო და მშობლიური ენების კონტრასტივისტიკის მიზანსა და ამოცანებს. უცხო ენის მაგისტრი უნდა ფლობდეს იმ ენაზე მეტყველების არა მარტო უნარ-ჩვევებს, არამედ ენათ-მეცნიერული თვალსაზრისით ღრმად და სწორად უნდა იცოდეს მისი აგებულება. კურსი სტუდენტებს გააცნობს ენათა ტიპოლოგიის დარგებს, ზოგად და კერძო ტიპოლოგიას, ენობრივ ტიპსა და ტიპს ენაში, ტიპოლოგიურ გამოკვლევათა დონეებს, უნივერსალიათა ცნებას და ტიპოლოგიის როლს მათი განსაზღვრისას. კურსის შესწავლის შედეგად უცხო ენის მაგისტრმა უნდა მიიღოს უცხო და მშობლიური ენების სისტემათა და ქვესისტემათა კონტრასტული შეპირისპირების მყარი თეორიული ცოდნა.

უცხო ენის მეთოდოლოგია

დისციპლინის მიზანია სტუდენტს გააცნოს ენის სწავლების უახლესი მეთოდები და სტრატეგიები. ლექციათა კურსი მაგისტრს სთავაზობს საინტერესო თეორიულ მასალას წარმატებული მასწავლებლის უნარ-ჩვევების შესაძენად, რაც მიზნად ისახავს წარმატებული სტუდენტის მომზადებას. სამაგისტრო კურსი მიმოიხილავს სასწავლო პროცესის წარმართვის ისეთ უმნიშვნელოვანეს დეტალებს, როგორცაა ტესტების შერჩევის პროცესი და ტესტირების პროცედურა, დამწყები მასწავლებლის გაკვეთილი და მასთან დაკავშირებული პრობლემები, სტუდენტთან ურთიერთობის სტრატეგიები და მოტივირების გზები და საშუალებები, სწავლების პროცესის დაგეგმვა და სასწავლო მასალის შერჩევა, წერის, კითხვისა და საუბრის უნარ-ჩვევების განვითარება ენის სწავლებისას. კურსის სრულყოფის შემდეგ მომავალი მასწავლებლები აღჭურვილ იქნებიან საჭირო თეორიული ცოდნითა და პრაქტიკული უნარ-ჩვევებით, რაც საშუალებას მისცემთ მომზადებული შეხვდნენ ენის სწავლების რთულ პროცესს.

ენის სწავლების მეთოდოლოგია გახლავთ კურსი, რომელიც დააინტერესებს ნებისმიერს, ვინც კი სერიოზულად ჩართულია ენის სწავლების პროცესში და მზად არის დრო და გონი დაუთმოს იმის გაგებას თუ რა დევს საკლასო პრაქტიკის მიღმა. იგი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დამწყები მასწავლებლისათვის, რომლებიც ორიენტაციისა და პროფესიული ზრდის ძიებაში არიან. აღნიშნული კურსი ენის სწავლების თეორიასა და პრაქტიკას ურთიერთკავშირში განიხილავს და ეყრდნობა იმ შეხედულებას, რომ კარგი სწავლების პრაქტიკა ემყარება კარგ თეორიულ ცოდნას, რადგან არაფერია ისეთი პრაქტიკული როგორც კარგი თეორია.

ენის დაუფლების მეთოდოლოგია

ენის დაუფლების მეთოდოლოგიის მეცნიერული კვლევა არის კურსი, რომელიც ენის სწავლების ტრადიციული თეორიებისგან განსხვავებით ფოკუსირებულია ენის შემსწავლელზე და მის მიერ ენის დაუფლების პროცესზე. თანამედროვე გამოყენებით ლინგვისტიკაში ენის დაუფლებას ხშირად უპირისპირებენ ენის შესწავლას. კურსი მიმოიხილავს ამ ორ ცნებას შორის არსებულ უმნიშვნელოვანეს განსხვავებებს, გარემოს რომელშიც ენის ათვისება ხდება, ფორმალური სწავლების როლს ამ პროცესში და ენის შემსწავლელის ინდივიდუალურ მახასიათებლებს, რომლებიც მის წარმატებას თუ წარუმატებლობას განაპირობებს.

ენის სწავლების საგანმანათლებლო კონცეფციები

ენის სწავლების საგანმანათლებლო კონცეფციები მიზნად ისახავს გამოყენებითი ლინგვისტიკის სხვადასხვა ასპექტის ისტორიული და ინტერდისციპლინარული პერსპექტივიდან შესწავლას. აღნიშნული კურსი ემყარება ენის სწავლების ფუნდამენტალურ კონცეფციას, რომელიც გულისხმობს საგანმანათლებლო თეორიის შესწავლას და მისი მნიშვნელობის განსაზღვრას ენის სწავლების პროცესში, რაც განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს თანამედროვე მეთოდიკაში, რადგან ენის პედაგოგიკა ყველაზე მეტად უკავშირდება საგანმანათლებლო თეორიას იმდენად, რამდენადაც ენის სწავლება თავისი ყველაზე გავრცელებული ფორმით საგანმანათლებლო გარემოში მიმდინარეობს. მოცემული კურსი საჭირო ცოდნას მიაწოდებს ამ დარგში მომუშავე მომავალ სპეციალისტებს.

ინტერკულტურული გერმანისტიკა

ინტერკულტურული კომუნიკაციის პრობლემატიკა განსაკუთრებით აქტუალურია თანამედროვე მულტიკულტურულ საზოგადოებაში და გლობალიზაციის ეპოქაში. ინტერკულტურული კომპეტენცია/ცოდნა განეკუთვნება სამეტყველო აქტის მონაწილეთა ძირითად უნარ-ჩვევებს და ასახავს ეკონომიკის, ინტერნაციონალური ურთიერთობებისა თუ სასწავლო-საგანმანათლებლო ყოფის კვალიფიკაციის დონეს.

ამ კურსის მიზანია ინტერკულტურული გერმანისტიკის ლინგვისტური საფუძვლების გაცნობა და საბაზისო ცოდნის გაღრმავება შემდეგ საკითხებში: თანამედროვე ლინგვისტური კონცეფციები, ცნებების – კომუნიკაცია და კულტურა დეფინიცია, კულტურული დიფერენციაცია, კომუნიკაციის მოდალურობა, კულტურის ენობრივი მახასიათებლები, ნონვერბალური კომუნიკაცია და კონვერზაცია. ის მოიცავს ისეთი ასპექტების დეტალურ დახასიათებას, რომლებიც არსებითია ინტერკულტურული კომუნიკაციისათვის. კურსის ძირითადი არსი მდგომარეობს კულტურული სტანდარტების, სტერეოტიპების და სპეციფიკის განმარტებაში, ფუნქციონალური მახასიათებლების გამოყოფასა და მათი მნიშვნელობის განმარტებაში.

აღნიშნული კურსის აქტუალობას განსაზღვრავს თანამედროვე ინდუსტრიული საზოგადოებისათვის დამახასიათებელი ფართო და მრავალმხრივი კავშირები, პროფესიული თუ კერძო საზღვარგარეთული მივლინებები, მიგრაციული და ემიგრაციული პროცესები. ინტერნაციონალური ურთიერთობები ცხოვრების სხვადასხვა სფეროებში – ეკონომიკაში, მეცნიერებასა და პოლიტიკაში მოწმობს მზარდ კონტაქტებზე, რომლებიც ნაციონალურ და ეთნიკურ საზღვრებს სცილდებიან. პრობლემები კომუნიკაციაში, ურთიერთგაგებასა და განსხვავებული რეაქციების გათვითცნობიერებაში განსაზღვრავს ინტერკულტურული გერმანისტიკის მნიშვნელობას.

ინოვაციის თეორია

ინოვაციის თეორიის კურსი ძირითადად აგებულია საგანმანათლებლო ინოვაციების მასალაზე, მაგრამ იგი ამასთანავე მოიცავს უაღრესად საინტერესო და ღირებულ ინფორმაციას ადამიანის მოღვაწეობის სხვა სფეროებში განხორციელებული ინოვაციების შესახებ. ამგვარი მიდგომა საშუალებას იძლევა გაკეთდეს ზოგადი დასკვნები, რომლებიც გათვალისწინებულ უნდა იქნეს

ყოველგვარი სიახლის დანერგვისას. კურსის ძირითადი მიზანია მომავალ პედაგოგებს განუვითაროს უნარი კრიტიკულად შეაფასონ მათ სფეროში შემოტანილი სიახლეები, რეალურად განსაზღვრონ ამ სიახლეთა დანერგვის პროცესთან დაკავშირებული ფსიქოლოგიური და ტექნიკური სირთულეები და შეძლონ მათი გადალახვა.

უცხო ენის გაკვეთილის დიდაქტიკა

უცხო ენის გაკვეთილის დიდაქტიკა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კურსს წარმოადგენს პედაგოგ-მეთოდისტის ფორმირების თვალსაზრისით. უცხო ენის გაკვეთილი როგორც უმნიშვნელოვანესი მეთოდური სტრუქტურული ერთეული გამოირჩევა თავისი სპეციფიკით. გაკვეთილის სტრუქტურული, ფორმალური მახასიათებლები, მასწავლებლისა და მოსწავლის ურთიერთმიმართება.

მაგისტრმა კურსის გავლის შემდეგ უნდა იცოდეს: თანამედროვე გაკვეთილის მოდელები - ენობრივი კომპეტენციის განვითარება, აღქმითი უნარ-ჩვევების განვითარება, კომუნიკაციური კომპეტენციის განვითარება, გაკვეთილის ფორმალური და შინაარსობრივი მრავალფეროვნება.

სამაგისტრო შრომების შესრულების ტექნოლოგია

სამაგისტრო შრომების შესრულების ტექნოლოგიის სამაგისტრო კურსი ითვალისწინებს იმ უნარ-ჩვევების გამომუშავებას, რომლებიც საჭიროა სწავლების მაღალ საფეხურზე სამეცნიერო და მხატვრული ხასიათის სხვადასხვა ტიპის პროდუცირებისათვის, ასევე სამეცნიერო სტილისათვის დამახასიათებელი თავისებურებების გაცნობას და არგუმენტაციის ცალკეული ელემენტების დაუფლებას. აღნიშნული კურსი აგრეთვე გულისხმობს ისეთ სამუშაოებს, როგორცაა ტექსტის დამუშავება, კორექცია, რეცენზირება და სამაგისტრო ნაშრომების შესრულების სპეციფიკის დაუფლება.

პროგრამის დასრულების შემდეგ

მაგისტრს, რომელიც დაასრულებს პროგრამის კვლევით განყოფილებას, უნდა შეეძლოს მიღებული ცოდნის და კვლევის ათვისებული მეთოდების გამოყენებით დამოუკიდებლად განსაზღვროს საკვლევი ამოცანები და ჩაატაროს დამოუკიდებელი კვლევა-ძიება, მიღებული შედეგების პრაქტიკული გამოყენების პერსპექტივით.

მაგისტრს უნდა შეეძლოს სპეციალური თეორიული ენათმეცნიერული ლიტერატურის, სხვადასხვა ფუნქციური სფეროს დისკურსის და სხვა ემპირიული მასალის კრიტიკული ანალიზი, თეორიული ბაზის და ემპირიული კვლევის შედეგების სინთეზი – ინტერპრეტაცია, წერილობითი და ზეპირი პრეზენტაცია.

მაგისტრი უნდა ფლობდეს ღრმა ცოდნას შემდეგ თეორიულ საგნებში: უცხო ენა როგორც გლობალური, მენტალური ფენომენი, ინტერკულტურული/ტრანსკულტურული კომპეტენცია და კომპეტენტური კომუნიკაციის სტრატეგიები, სწავლების თანამედროვე თეორიული პარადიგმები და ანალიზის მეთოდები.

⊕ მაგისტრს მოეთხოვება უცხო ენის და კომპეტენტური ტრანსკულტურული კომუნიკაციის სპეციფიკური სპექტრის პრაქტიკული უნარ-ჩვევების ფლობის მაღალი დონე.

⊕ მაგისტრს უნდა შეეძლოს, ტრანსკულტურული კომუნიკაციის აღნიშნული სპეცი-ფიკური სპექტრის პრაქტიკული უნარ-ჩვევების სისტემატური პრაქტიკული გამოყენება.

უმაღლესი სკოლის დიდაქტიკა ფილოსოფიური საფუძვლებით
განათლების მაგისტრის პროგრამისათვის

1. კურსი განხორციელდება პედაგოგიურ ფაკულტეტზე
2. კურსის სახელწოდება-უმაღლესი სკოლის დიდაქტიკა ფილოსოფიური საფუძვლებით
3. კურსის კოდი-
4. კურსი ისწავლება-I სემესტრში
5. კურსის განსაზღვრება:
 - კურსი ისწავლება მაგისტრატურის დონეზე
 - კრედიტების რაოდენობა - 5
 - სემესტრების რაოდენობა - 1

6. კურსის მიზანი, ამოცანები და მოსალოდნელი შედეგები

უმაღლესი სკოლის პედაგოგიკის საფუძვლებისა და დიდაქტიკის ცნებების, სწავლების (სწავლის) ძირითადი პრინციპების გაცნობა და გამოყენება სასწავლო პროცესში სწავლების ორგანიზაციის ფორმების წარმართვა თანამედროვე საგანმანათლებლო ტექნოლოგიების გამოყენებით. ლექტორის, როგორც უმაღლესი სკოლის მასწავლებლის პროფესიული უნარ-ჩვევების დაუფლება

7. სწავლებისა და სწავლის ორგანიზაციის ფორმები-ლექცია. დისკუსია
8. შეფასების მეთოდები: ტესტირება, თვითშეფასება, პორტფოლიო, რუბრიკები
9. სტუდენტთა დატვირთვა-კურსს დათმობილი აქვს 5 კრედიტი და გათვლილია 12 კვირაზე
10. კრედიტების მინიჭების პირობაა სწავლის შედეგების 51%-ის დადებითი შეფასებით გაყვლა

განათლების ფსიქოლოგიის კურსი
განათლების მაგისტრის პროგრამისათვის

1. კურსი განხორციელდება პედაგოგიურ ფაკულტეტზე

2. კურსის სახელწოდება-განათლების ფსიქოლოგია

3. კურსის კოდი-

4. კურსი ისწავლება-I სემესტრში

5. კურსის განსაზღვრება:

- კურსი ისწავლება მაგისტრატურის დონეზე
- კრედიტების რაოდენობა - 5
- სემესტრების რაოდენობა - 1

6. კურსის მიზანი, ამოცანები და მოსალოდნელი შედეგები

ამ კურსის გავლის შემდეგ მაგისტრი სწორად უნდა იყენებდეს ფსიქოლოგიურ ტერმინებს და ესმოდეს მათი ცნებითი მნიშვნელობა; უნდა ფლობდეს ცოდნას ადამიანის ზოგადი ფსიქიკური პროცესების შესახებ; შეე'ლოს ადამიანის პიროვნების ასაკობრივი თავისებურებების შესახებ მსჯელობა. უნდა იცნობდეს თანამედროვე განათლების მიზნებსა და ამოცანებს და შეე'ლოს ფსიქოლოგიური ცოდნის გამოყენება პედაგოგიურ პრაქტიკაში.

7. სწავლებისა და სწავლის ორგანიზაციის ფორმები-ლექცია, სემინარი

8. შეფასების მეთოდები: რეიტინგული შეფასება, გამოცდა.

9. სტუდენტთა დატვირთვა-კურსს დათმობილი აქვს 5 კრედიტი და გათვლილია 12 კვირაზე

10. კრედიტების მინიჭების პირობაა სწავლის შედეგების 51%-ის დადებითი შეფასებით გაველა.

განათლების სისტემები და მათი აგების სამართლებრივი

საფუძვლები

განათლების მაგისტრის პროგრამისათვის

1. კურსი განხორციელდება პედაგოგიურ ფაკულტეტზე
2. კურსის სახელწოდება-განათლების სისტემები და მათი აგების სამართლებრივი საფუძვლები

3. კურსის კოდი-

4. კურსი ისწავლება-შშშსემესტრში

5. კურსის განსაზღვრება:

- კურსი ისწავლება მაგისტრატურის დონეზე
- კრედიტების რაოდენობა - 5
- სემესტრების რაოდენობა - 1

6. კურსის მიზანი, ამოცანები და მოსალოდნელი შედეგები

ამ კურსის გავლის შედეგად მაგისტრანტი უნდა იცნობდეს თანამედროვე განათლების სისტემებს და მათი სამართლებრივი აგების ისეთ დოკუმენტებს, როგორცაა: კონსტიტუცია, განათლების კანონი, ეროვნული სასწავლო გეგმა, განათლების სახელმწიფო მიზნები და სხვ

7. სწავლებისა და სწავლის ორგანიზაციის ფორმები-ლექცია. დისკუსია

8. შეფასების მეთოდები: რეიტინგული შეფასება, ჩათვლა

9. სტუდენტთა დატვირთვა-კურსს დათმობილი აქვს 5 კრედიტი და გათვლილია 8 კვირაზე

10. კრედიტების მინიჭების პირობაა სწავლის შედეგების 51%-ის დადებითი შეფასებით გაეღა

განათლების სისტემები და მათი აგების ეკონომიკური

საფუძვლები

განათლების მაგისტრის პროგრამისათვის

1. კურსი განხორციელდება პედაგოგიური ფაკულტეტის პედაგოგიკის დეპარტამენტში
2. კურსის სახელწოდება - განათლების სისტემები და მათი აგების ეკონომიკური საფუძვლები
3. კურსი ისწავლება - უშშ სემესტრში
 - კურსი ისწავლება მაგისტრატურის დონეზე
 - კრედიტების რაოდენობა - 5
 - სემესტრების რაოდენობა - 1
 - კურსის გავლა სავალდებულოა განათლების მაგისტრანტებისათვის
4. კურსის მიზანი, ამოცანები და მოსალოდნელი შედეგები

საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლისას, სასწავლო დაწესებულებები უმწვავეს პრობლემათა წინაშე აღმოჩნდნენ. განვითარებადი ქვეყნებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განათლების ეფექტური სისტემების არსებობა. ამასთან, ეს სფერო უდიდესი ფსიქოლოგიური დატვირთვის შემცველიცაა, რისთვისაც მიზანშეწონილია ყველა განვითარებად ქვეყანაში და მათ შორის საქართველოშიც, შესწავლილი იქნას განათლების ეკონომიკური ბაზისი, მისი სოციალური და ინსტიტუციონალური სტრუქტურები.

გარდამავალ პერიოდში საჭირო ხდება უცხოური გამოცდილების ადაპტაცია და საკუთარი მიდგომების დამუშავება, რაც სტიმულს მისცემს სასწავლო დაწესებულებების მენეჯმენტის და მარკეტინგის საქმიანობას.

დისციპლინის სწავლება მიზნად ისახავს სტუდენტ-ახალგაზრდობის აზროვნებაში ახალი ეკონომიკური შეხედულებების ჩამოყალიბებას.

კურსის მიზანია მისცეს მაგისტრს განათლების სისტემის მენეჯმენტის ცოდნის აუცილებელი მინიმუმი, რომელიც საჭიროა ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შესასწავლად და პერსპექტივაში მისი გამოყენებისა და გაუმჯობესების გზების განხორციელებისათვის.

კურსის ამოცანებია: მაგისტრმა კურსის გაელის შემდეგ უნდა იცოდეს:

- განათლების სისტემის მენეჯმენტის არსი და თავისებურებები;
 - განათლების სისტემის მენეჯმენტის ძირითადი ელემენტები;
 - განათლების სისტემის მენეჯმენტის პრინციპები და მეთოდები;
 - განათლების სისტემის მენეჯმენტის სტრატეგიები;
 - განათლების სისტემის მენეჯმენტის ეფექტურობის შეფასება.
5. სწავლებისა და სწავლის ორგანიზაციის ფორმები-ლექცია, დისკუსია
 6. შეფასების მეთოდები: რეიტინგული შეფასება, ჩათვლა
 7. სტუდენტთა დატვირთვა - კურსს დათმობილი აქვს 5 კრედიტი და გათვლილია 15 კვირაზე (15 საათი)
 8. კრედიტების მინიჭების პირობაა სწავლის შედეგების 51%-ის დადებითი შეფასებით გავლა

განათლების ისტორიის კურსი

განათლების მაგისტრის პროგრამისათვის

1. კურსი განხორციელდება პედაგოგიურ ფაკულტეტზე
2. კურსის სახელწოდება-განათლების ისტორია
3. კურსის კოდი-
4. კურსი ისწავლება-I სემესტრში
5. კურსის განსაზღვრება:
 - კურსი ისწავლება მაგისტრატურის დონეზე
 - კრედიტების რაოდენობა - 5
 - სემესტრების რაოდენობა - 1
6. კურსის მიზანი, ამოცანები და მოსალოდნელი შედეგები
 - აღზრდის და განათლების ისტორიული გზის გაანალიზება
 - პედაგოგიური აზრისა და პედაგოგიური პრაქტიკის განვითარების საფუძველზე სწავლების თანამედროვე კონცეფციების გააზრება და განვითარება.
 - ეროვნული საგანმანათლებლო ტრადიციების შერწყმა მსოფლიო საგანმანათლებლო პრაქტიკასთან.
7. სწავლებისა და სწავლის ორგანიზაციის ფორმები-ლექცია, სემინარი.
8. შეფასების მეთოდები: რეიტინგული შეფასება, კოლოქვიუმი, გამოცდა.
9. სტუდენტთა დატვირთვა-კურსს დათმობილი აქვს 5 კრედიტი და გათვლილია 12 კვირაზე
10. კრედიტების მინიჭების პირობაა სწავლის შედეგების 51%-ის დადებითი შეფასებით გაველა

გარემო, მოზარდი და ეკოლოგიური აღზრდა

განათლების მაგისტრის პროგრამისათვის

1. კურსი განხორციელდება პედაგოგიურ ფაკულტეტზე
2. კურსის სახელწოდება - გარემო, მოზარდი და ეკოლოგიური აღზრდა
3. კურსი ისწავლება - II სემესტრში

- კურსი ისწავლება მაგისტრატურის დონეზე
- კრედიტების რაოდენობა - 5
- სემესტრების რაოდენობა - 1
- კურსის გავლა სავალდებულოა განათლების სპეციალობის მაგისტრანტებისათვის

4. კურსის მიზანი, ამოცანები და მოსალოდნელი შედეგები

კურსის მიზანია მომავალ მასწავლებელთა საფუძვლიანი განათლება ეკოლოგიის კუთხით, რათა მათ თავიანთ აღსაზრდელებს მისცენ შესაბამისი ცოდნა ბუნების დაცვის, მისი მოვლა-პატრონობის და გარემო პირობების გაჯანსაღების საკითხებზე.

5. სწავლებისა და სწავლის ორგანიზაციის ფორმები - ლექცია, ლაბორატორიული, ინდივიდუალური მუშაობა.

6. შეფასების მეთოდები: პორტფოლიო, რეიტინგული შეფასება

7. სტუდენტთა დატვირთვა - კურსს დათმობილი აქვს 5 კრედიტი და გათვლილია 15 კვირაზე (30 საათი)

8. კრედიტების მინიჭების პირობაა სწავლის შედეგების 51%-ის დადებითი შეფასებით გავლა.

სამაგისტრო ნაშრომის შესრულების ტექნოლოგია

განათლების მაგისტრის პროგრამისათვის

1. კურსი განხორციელდება პედაგოგიურ ფაკულტეტზე
2. კურსის სახელწოდება - სამაგისტრო ნაშრომის შესრულების ტექნოლოგია
3. კურსი ისწავლება - II სემესტრში
 - კურსი ისწავლება მაგისტრატურის დონეზე
 - კრედიტების რაოდენობა - 5
 - სემესტრების რაოდენობა -1
 - კურსის გაელა საგანმანათლებლო განათლების სპეციალობის მაგისტრისათვის
4. კურსის მიზანი, ამოცანები და მოსალოდნელი შედეგები

მაგისტრატურაში ორწლიანი სწავლების პერიოდში მაგისტრანტი ეუფლება სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის ორგანიზაციულ ფორმებს. შესრულებისა და გაფორმების ტექნიკურ საშუალებებს. შრომის პრეზენტაციის უნარ-ჩვევებს. ნაშრომის შესრულების კვლევის მეთოდებს. დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით სამაგისტრო შრომის შესრულების პროცესში.

5. სწავლებისა და სწავლის ორგანიზაციის ფორმები - ლექცია, ლაბორატორიული, ინდივიდუალური მუშაობა.

6. შეფასების მეთოდები: პორტფოლიო, რეიტინგული შეფასება

7. სტუდენტთა დატვირთვა - კურსს დათმობილი აქვს 5 კრედიტი და გათვლილია 15 კვირაზე (30 საათი)

8. კრედიტების მინიჭების პირობაა სწავლის შედეგების 51%-ის დადებითი შეფასებით გაელა.

პედაგოგიური პრაქტიკა

განათლების მაგისტრის პროგრამისათვის

1. პედაგოგიური პრაქტიკა განხორციელდება პედაგოგიურ ფაკულტეტზე
2. კურსის სახელწოდება - პედაგოგიური პრაქტიკა
3. პედაგოგიურ პრაქტიკას გადიან - III სემესტრში
 - კრედიტების რაოდენობა - 5
 - კვირათა რაოდენობა - 4
 - პედაგოგიური პრაქტიკის გავლა სავალდებულოა განათლების სპეციალობის მაგისტრანტებისათვის
4. პედაგოგიური პრაქტიკის მიზანი, ამოცანები და მოსალოდნელი შედეგები
პედაგოგიურ პრაქტიკას მაგისტრანტები გაივლიან შესაბამისი სპეციალობის მაპროფილებელ დეპარტამენტებში
პედაგოგიური პრაქტიკა ფასდება ნიშანზე.

სამაგისტრო შრომა

განათლების მაგისტრის პროგრამისათვის

სამაგისტრო ნაშრომის შესრულება სავალდებულოა განათლების პროგრამის მაგისტრანტებისათვის.

სამაგისტრო ნაშრომი სრულდება სპეციალობაში (დარგის მეთოდოლოგია და/ან მეთოდოლოგია).

სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას მაგისტრანტს ხელმძღვანელობას უწევს შესაბამისი დარგობრივი პროფილის დეპარტამენტის სრული ან ასოცირებული პროფესორი პედაგოგიკის დეპარტამენტიდან გამოყოფილ კონსულტანტთან ერთად.

სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისათვის გამოყოფილია 30 კრედიტი.

სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობა იწყება II სემესტრიდან - 5 კრედიტი, III სემესტრი - 5 კრედიტი და IV სემესტრი - 20 კრედიტი. სწავლების I სემესტრში მაგისტრანტებს ეძლევათ სამაგისტრო პროგრამის შესაბამისი სავარაუდო თემები, რომელთაგან ისინი შეარჩევენ მათთვის მისაღებს, რის შემდეგაც დამტკიცდება სამაგისტრო თემა, გამოყოფა სამეცნიერო ხელმძღვანელი და კონსულტანტი პედაგოგიკის დეპარტამენტიდან.

სავალდებულოა, რომ სამაგისტრო ნაშრომი განათლების მეცნიერებებში შეიცავდეს კვლევით კომპონენტს.

განათლების მაგისტრატურაში სავალდებულო და პროფესიული მომზადების სპეციალური დისციპლინებისათვის გამოყოფილი კრედიტების ათვისების შემდეგ ხდება სამაგისტრო ნაშრომის დაცვა სპეციალური კომისიის წინაშე - IV სემესტრი.

სამაგისტრო ნაშრომის წარმატებით დაცვის შემდეგ განათლების მაგისტრატურის კურსდამთავრებულს ენიჭება განათლების მაგისტრის აკადემიური ხარისხი.